შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი (შემდგომში საწარმო) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

1.2. საწარმო წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდებაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი, შემოკლებით-შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი.

1.4. საწარმოს სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.5. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ბორი, ცხინვალის N9.

1.6. საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

1.7. საწარმოს საქმიანობის საგანი:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ბ) სხვა საქმიანობის განხორციელება.

1.8. საწარმოს უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალული ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

1.9. საწარმოს საკონტაქტო ტელეფონია: 599145998; ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@amagi.edu.ge.

მუხლი 2. საწარმოს დამფუძნებლები

საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორები:

1. ეკატერინე სუხიშვილი, პ/ნ 59001005656, რომლის წილი კაპიტალში არის 50%;
2. რუსუდან სუხიშვილი, პ/ნ 59001042709, რომლის წილი კაპიტალში არის 50%.

მუხლი 3. საწარმოს მართვა

3.1. საწარმოს უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება;

3.2. პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეობისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაეკუთვნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) თანხმობის მიცემა დირექტორისთვის საწარმოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ;

პ) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

ჟ) დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება.

მუხლი 4. საწარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საწარმოს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს. საწარმოს დირექტორია სოფიო სუხიშვილი პ/ნ 59001035419.

4.2. დირექტორი საწარმოს საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს საწარმოს წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

4.3. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას ერთპიროვნულად.

4.4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საწარმოს სახელით და წარმოადგინოს საწარმო მესამე პირებთან ურთიერთობაში. პარტნიორთა საერთო კრების თანხმობა დირექტორს ესაჭიროება მხოლოდ საწარმოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

4.5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

საწარმოს პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა) მონაწილეობა მიიღოს საწარმოს მართვაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს საწარმოს ხელმძღვანელობას;

დ) საწარმოს მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი.

ე) შეუძლია პირადად გაეცნოს საწარმოს საქმეებს.

ვ) შეუზღუდავად გასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) მათ საკუთრებაში არსებული წილი სახოგადოების კაპიტალში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

6.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);

ბ) ფინანსური დაავალიანება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ აითვისა შესაბამისი კრედიტები;

დ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან.

6.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება;

ბ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წლის ვადით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა დაადასტურა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგი;

დ) გარდაცვალება.

მუხლი 7. საწარმოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

7.1. საწარმოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

7.2. საწარმოს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გაკლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

8.2 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებლები:

ეკატერინე სუხიშვილი, პ/ნ 59001005656 -

რუსუდან სუხიშვილი, პ/ნ 59001042709 -

ალექსანდრე სოფო სუხიშვილი 59001035419